თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი № 3

ქ. თერჯოლა 04.03.2025 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე შალვა ჭანკვეტაძე

სხდომას ესწრებოდნენ: 1. შალვა ჭანკვეტაძე, 2. იზა მაგრაქველიძე, 3. დავით გოგბერაშვილი, 4. ბადრი ბუცხრიკიძე, 5. ნინო მახათაძე, 6. ელისო მურადაშვილი, 7. ლაშა გურგენიძე, 8. დავით ცხადაძე 9. ტარიელ ფანჩულიძე

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. კობა კირკიტაძე, 2. კახა ბუცხრიკიძე

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 9
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის N გ-29-292501512 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-282505747 წერილი, 26.02.2025 წ);

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-28250574 წერილი, 26.02.2025 წ).

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 9, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ კომისიის წევრებს გააცნო, ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის N გ-29-292501512 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი- ცვლილებით შესაძლებელი გახდება პროგრამით ისარგებლონ თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 2-16 წლამდე ICD10 პროგრამის ვალიდური დიაგნოზის მქონე ბენეფიციარებმა.

აზრი გამოთქვეს: აზრი გამოთქვეს კომისიის ყველა წევრმა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 9, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი, ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის N გ-29-292501512 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2025 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი- მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის სერვისების პროგრამის მიზანია, შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა, პერსონალური ასისტენტის საშუალებით.

აზრი გამოთქვეს: აზრი გამოთქვეს კომისიის ყველა წევრმა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 9, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2025 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

კომისიის თავმჯდომარე:

შალვა ჭანკვეტაძე